ხელშეკრულება
ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა
„ჯი ქეი ჯგუფი“
დაფუძნების შესახებ

ქ. თბილისი
24 სექტემბერი 2018 წელი

მუხლი 1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ზოგადი დებულებები, საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი, მისამართი.

1.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სახელწოდებაა - ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“ (შემდგომში - „ამხანაგობა“)
1.2. ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსებული იქნება შემდგომ მისამართზე: ქ. თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, ნაკვეთი 11/16, ელ.ფოსტა: korg.ge@mail.ru
1.3. ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, იგი არის წევრობაზე დაფუძნებული და შექმნილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.
1.4. ამხანაგობას გააჩნია თავისი ანგარიში.
1.5. ამხანაგობა გადასახადის გადამხდელად აღირიცხება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები

ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან:

ნანა ქორქაძე (პ/ნ 01024004114)
გიორგი ქორქაძე (პ/ნ 01024004051)
მიხეილ ქორქაძე (პ/ნ 01024025806)
ლუკა ქორქაძე (პ/ნ 01424095087)
ლანა ქორქაძე (პ/ნ 01024082351)
ნინო მესარკიშვილი (პ/ნ 01006010230)
დავით ბაირამაშვილი (პ/ნ 01024066547)
ალუდა ტარტარაშვილი (პ/ნ 01001032288)

მუხლი 3. ამხანაგობის მიზანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები მიზნად ისახავენ და ერთმანეთის წინაშე იღებენ ვალდებულებას ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის /ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (შემდგომში სამშენებლო ობიექტი(შემდგომში სამშენებლო ობიექტი) ასაშენებლად, **ამ მიზნით ისინი აერთიანებენ ორ ურთიერთმომიჯნავე მიწის ნაკვეთს**: მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, შემდეგი მახასიათებლებით: მიწის (უძრავი ქონების) **საკადასტრო კოდი N01.14.08.011.016**; ზონა თბილისი 01; სექტორი 14; კვარტალი 08; ნაკვეთი 011/016; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 1000.00კვ.მ.; ნაკვეთის წინა ნომერი N81.22.00.066 და მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, შემდეგი მახასიათებლებით: მიწის (უძრავი ქონების) **საკადასტრო კოდი N01.14.08.011.020;** ზონა თბილისი 01; სექტორი 14; კვარტალი 08; ნაკვეთი 011/020; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო

სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 1000.00კვ.მ.; ნაკვეთის წინა ნომერი N81.22.00.067.

3.2. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები თანხმდებიან, რომ სამშენებლო ობიექტის საერთო ფართობი, დეტალური პარამეტრები შესაძლებელია დაზუსტდეს დამფუძნებელ წევრებს შორის ფართების ურთიერთგანაწილების ეტაპზე.

მუხლი 4. შენატანები ამხანაგობაში და დამფუძნებელი წევრების ვალდებულებები

4.1. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების შენატანი განისაზღვრება ნივთობრივი ან/და ფულადი სახით.

4.2. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების შენატანს წარმოადგენს:

4.2.1. ნანა ქორქაძის (პ/ნ 01024004114) შენატანი ამხანაგობაში არის მიწის ნაკვეთი ფართით 1000.00კვ.მ., რაც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არის 600000(ექვსასიათასი) ლარის ღირებულება. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს: ქ. თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, შემდეგი მახასიათებლებით: მიწის (უძრავი ქონების) **საკადასტრო კოდი N01.14.08.011.016;** ზონა თბილისი 01; სექტორი 14; კვარტალი 08; ნაკვეთი 011/016; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 1000.00კვ.მ.; ნაკვეთის წინა ნომერი N81.22.00.066.

საკუთრების ფაქტი დასტურდება:
ამონაწერით საჯარო რეესტრიდან:
განაცხადის რეგისტრაციის № 892017135227
მიწის საკადასტრო კოდი N01.14.08.011.016

მესაკუთრე ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთი არის და მასზე ვრცელდება მესაკუთრის საკუთრების უფლება, იგი არ არის იპოთეკის უფლებით დატვირთული, მასზედ არ ვრცელდება რაიმე სახის ვალდებულება, არ არის დაყადაღებული, ის არ წარმოადგენს დავის საგანს და მესამე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე სახის პრეტენზია.

4.2.2. ალუდა ტარტარაშვილის (პ/ნ 01001032288) შენატანი ამხანაგობაში არის მიწის ნაკვეთი ფართით 1000.00კვ.მ., რაც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არის - 600000(ექვსასიათასი) ლარის ღირებულება. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს: ქ. თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, შემდეგი მახასიათებლებით: მიწის (უძრავი ქონების) **საკადასტრო კოდი N01.14.08.011.020;** ზონა თბილისი 01; სექტორი 14; კვარტალი 08; ნაკვეთი 011/020; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 1000.00კვ.მ.; ნაკვეთის წინა ნომერი N81.22.00.067.

საკუთრების ფაქტი დასტურდება:
ამონაწერით საჯარო რეესტრიდან:
განაცხადის რეგისტრაციის № 892018551403
მიწის საკადასტრო კოდი N01.14.08.011.020.

მესაკუთრე ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთი არის და მასზე ვრცელდება მესაკუთრის საკუთრების უფლება, იგი არ არის იპოთეკის უფლებით დატვირთული, მასზედ არ ვრცელდება რაიმე სახის ვალდებულება, არ არის დაყადაღებული, ის არ წარმოადგენს დავის საგანს და მესამე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე სახის პრეტენზია.

4.2.3. დავით ბაირამაშვილის (პ/ნ 01024066547) შენატანი ამხანაგობაში მხარეთა შეთანხმებით არის ამხანაგობის მიზნის მიღწევისათვის საჭირო სამშენებლო დოკუმენტაციის, პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული პროექტის კორექტირება და მშენებლობისათვის საჭირო ყველა ნებართვის მოპოვება/მიღება შესაბამისი უწყებებიდან, რაც წარმოადგენს ადეკვატურ ღირებულებას მის მიერ მომავალში მისაღები ფართების ღირებულებისა.

4.3. მხარეთა შეთანხმებით, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების შენატანი იქნება ამხანაგობის მიზნის მიღწევისათვის (სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის) საჭირო თანხები, რომელიც განაწილდება თანაბრად ყველა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრზე ამხანაგობაში მათი წილის(მისაღები ინდივიდუალური ფართების) შესაბამისად, რომლის შემოტანაც ამხანაგობაში განხორციელდება ეტაპობრივად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გამონაკლის წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.3.პუნქტით გათვალისწინებული პირობა.

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის ამხანაგობის საერთო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მიწის ნაკვეთი მიწის საკადასტრო კოდით N01.14.08.011.016 და მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.14.08.011.020., რომელზედაც უნდა განხორციელდეს სამშენებლო ობიექტის განთავსება, ერთიანდება და ხდება ამხანაგობის საერთო საკუთრება, ხოლო ბინების სქემატური განაწილების გეგმის ე.წ.„განშლის“ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ, სამშენებლო მიწაზე ვრცელდება თითოეული მესაკუთრის საკუთრების უფლება მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის წილის შესაბამისად.

მუხლი 6. წილები და ფართების განაწილების წესი

6.1. მხარეთა შეთანხმებით სამშენებლო ფართები ამხანაგობის წევრებს შორის გადანაწილდება მათ მიერ განხორციელებული შენატანების/გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც მხარეთა მიერ დაზუსტდება ბინების განაწილების სქემის ე.წ. „განშლის“ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტისათვის.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრებს შორის განაწილებული ფართები, საჯარო რეესტრში ამხანაგობის თითოეულ წევრზე რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს შესაბამისი პირების ინდივიდუალურ საკუთრებას. პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო ფართები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის, შეთანხმებული პროექტის ან/და ამ ხელშეკრულების შესაბამისად არ ექვემდებარება ინდივიდუალურ საკუთრებაში აღრიცხვას (კიბის უჯრედი, ლიფტი, სადარბაზოს

ჰოლი და ა.შ.) რჩება ამხანაგობის საერთო საკუთრებაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.3. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ვალდებულნი არიან მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ფართებზე არ აწარმოონ ისეთი სახის სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო საქმიანობა, რაც მომავალში ხელს შეუშლის სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას.

მუხლი 7. ამხანაგობის ხელმძღვანელობა

7.1. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე. **ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს გიორგი ქორქაძე (პ/ნ 01024004051)**

7.2. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში, დებს გარიგებას ამხანაგობის სახელით. ამასთანავე, ამხანაგობის თავმჯდომარე მხოლოდ ამხანაგობის ყველა დამფუძნებელი წევრის თანხმობით საფუძველზე დებს შემდეგი სახის გარიგებებს:
7.2.1. ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება ან/და ვალდებულებით დატვირთვა.
7.2.2. სესხისა და კრედიტის აღება.
7.2.3. ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური ფართების (ავტოპარკინგი, საცხოვრებელი ბინა და ა.შ.) მესამე პირებზე გასხვისება ან/და ვალდებულებით დატვირთვა. ეს წესი არ ეხება უფლებას იმ ინდივიდუალურ ფართებზე, რომლებიც მშენებარე ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართების განაწილების ოქმითა და მასზედ თანდართული სქემით წინამდებარე ხელშეკრულების მე-6-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა დამფუძნებელ წევრებს ინდივიდუალურ საკუთრებაში.
7.3. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებასა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.
7.4. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერად გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას.
7.5. ამხანაგობის ყველა დამფუძნებლის თანხმობით მიიღება გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:
7.5.1. ამხანაგობაში დამატებითი შენატანების განსაზღვრა.
7.5.2. ასაშენებელ მრავალერთეულიან საცხოვრებელ სახლში ფართების განაწილება ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს შორის, ნუმერაციის მინიჭება.
7.5.3. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა (მონაწილეობას კენჭისყრაში არ იღებს თავად კანდიდატი).
7.6. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას თავმჯდომარეობაზე, რის შესახებაც მან წერილობითი ფორმის უნდა აცნობოს დამფუძნებელ წევრებს.

7.7. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ჩამოერთვას ერთობლისი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
7.8 თითოეულ დამფუძნებელ წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.
7.9. სხვა ყველა გადაწყვეტილებას ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები იღებენ ხმათა უმრავლესობით, თუ განსხვავებული წესი არ არის დადგენილი თავად ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 8. შემოსავლების განაწილების წესი

8.1. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს შორის ნაწილდება ამხანაგობაში მათი წილის შესაბამისად.

8.2.თითოეულ წევრს უფლება აქვს მოსთხოვოს დანარჩენ წევრებს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი და დროული შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულებიდან გასვლა / ურთიერთმოთხოვნების გადაცემის დაუშვებლობა მესამე პირისათვის

9.1. ყოველ დამფუძნებელ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან/და ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის.

9.2. ამხანაგობის წევრთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

9.3. ერთ-ერთი ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის გასვლა ამხანაგობიდან არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

9.4.წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

მუხლი 10. ამხანაგობის წევრთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

10.1. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში კი პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება ამხანაგობაში მათი წილის შესაბამისად.

10.2. ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 11. ამხანაგობის საქმიანობის ვადა

11.1. ამხანაგობა შექმნილია მრავალბინიანი/ მრავალინდივიდუალურ სახლიანი სამშენებლო ობიექტის მშენებლობის დასრულების ვადით და ის არსებობას წყვეტს მხარეთა შეთანხმებით ან/და სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებით.

11.2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

11.3. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის ქმედუნარიანობის შეწყვეტის ან გარდაცვალების შემთხვევაში მის ადგილს იკავებს მეურვე/მემკვიდრე.

მუხლი 12. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები

ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა;

ბ) ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა გადაწყვეტილება;

გ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;

დ) ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა.

მუხლი 13. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტა

13.1. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს შორის მათი შენატანების შესაბამისად.

13.2. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად,

ხელშეკრულებისმონაწილეებივალდებულნიარიანგაისტუმრონვალებითავიანთიწი
ლისშესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის წესი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება ურთიერთშეთანხმებით და მას უნდა ეთანხმებოდეს ყველა დამფუძნებელი წევრი, ამ ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილი წესით, რომელიც ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
14.2. ხელშეკრულებაში ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილ და აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელშეკრულებას.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელისმოწერის მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.
15.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები ან/და დამატებები შეიტანება ყველა დამფუძნებელი წევრის თანხმობით, წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
15.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 6 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად.

მუხლი 16. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების ხელმოწერები

ნანა ქორქაძე (პ/ნ 01024004114)
გიორგი ქორქაძე (პ/ნ 01024004051)
მიხეილ ქორქაძე (პ/ნ 01024025806)
ლუკა ქორქაძე (პ/ნ 01424095087)
ლანა ქორქაძე (პ/ნ 01024082351)
ნინო მესარკიშვილი (პ/ნ 01006010230)
დავით ბაირამაშვილი (პ/ნ 01024066547)
ალუდა ტარტარაშვილი (პ/ნ 01001032288)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181195341
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.09.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	96338538660218

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდაშვიდ სექტემბერს მე, ია კიკუაშვილი, ნოტარიუს ელისო შიხიაშვილის შემცვლელი პირი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისი, ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, **გიორგი ქორქაძის** (დაბ.05.04.1949წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი გოთუას ქ 22 ბ. 68 პირადი №01024004051) **ალუდა ტარტარაშვილის** (დაბ.31.07.1979წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი, თაყაიშვილის ქ. სახლი 44 ბ.16 პირადი №01001032288) და **დავით ბაირამაშვილის** (დაბ.08.10.1962წ მისი განცხადებით მცხ. თბილისი ჭონქაძის ქ 10ა ბ. 28 პირადი№01024066547) ხელმოწერებს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას რასაც ვამოწმებ. **ოცდაოთხი ხელმოწერა თითო ეგზემპლიარზე.**

გადახდილია **48.00** ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ **8.64** ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების 39-ე მუხლისა

ნოტარიუს ელისო შიხიაშვილის შემცვლელი
ია კიკუაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181202011
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.09.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	63791792085818

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდარვა სექტემბერს მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, **მიხეილ ქორქაძის** (დაბ.28.09.1978წ მისი განცხადებით მცხ.თბილისი ჩიქოვანის ქ 9-11 კორპ. 2 ბ. 40 პ№01024025806) ხელმოწერას ხელშეკრულებაზე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 16-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე **დღგ 2-88 ლარი** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. **(სამი ეგზემპლიარისთვის)**

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181209269
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.10.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	15155780441218

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის პირველ ოქტომბერს მე, ნოტარიუსი, ელისო შიხიაშვილი რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისი, ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, **ნანა ქორქაძის** (დაბ.24.12.1966წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი იოსებიძის ქ 17 პირადი № 01024004114) **ლუკა ქორქაძის** (დაბ.28.06.2000წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი, იოსებიძის ქ 17 პირადი № 01424095087) და **ლანა ქორქაძის** (დაბ.11.01.1998წ მისი განცხადებით მცხ. თბილისი გოთუას ქ 22 ბ. 68 პირადი№ 01024082351) ხელმოწერებს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას რასაც ვამოწმებ.

ოცდაოთხი ხელმოწერა თითო ეგზემპლიარზე.

გადახდილია **48.00** ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ **8.64** ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების 39-ე მუხლისა

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181210949
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.10.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	12326823633718

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის პირველ ოქტომბერს მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, **ნინო მესარკიშვილის** (დაბ.31.10.1981წ მისი განცხადებით მცხ.თბილისი ჯანაშიას ქ 16/18/20 პ№01006010230) ხელმოწერას ხელშეკრულებაზე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია **16-00 ლარი**, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე **დღგ 2-88 ლარი** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. **(სამი ეგზემპლიარისთვის)**

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი



ქ. თბილისი 12.10.2018წ.

ცვლილება/დამატება
ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს
დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებაში

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, წარმოვადგენთ, რა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დამფუძნებლებს, ვხელმძღვანელობთ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ“ „მუხლი 14.“ (ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის წესი) შესაბამისად და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება/დამატება მხარეთა მიერ დადებულ „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ“ ხელშეკრულების „მე-7 მუხლში“ („ამხანაგობის ხელმძღვანელობა“) და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ამხანაგობის ხელმძღვანელობა /მართვის ორგანო სტრუქტურა და ფუნქციები

7.1. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება/მართავს ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად. **ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს გიორგი ქორქაძე (პ/ნ 01024004051)**

7.2. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო სტრუქტურებში და სასამართლოში, დებს გარიგებას/გარიგებებს ამხანაგობის სახელით, იღებს გადაწყვეტილებებს ამხანაგობისა და მისი ქონების რეგისტრაციის შესახებ, განკარგავს საერთო საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას და ფინანსებს, განსაზღვრავს დამატებითი შენატანების ოდენობას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), უზრუნველყოფს ასაშენებელ მრავალერთეულიან საცხოვრებელ სახლში ფართების განაწილებას ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს შორის, ანიჭებს ნუმერაციას საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებს და ასრულებს ყველა სხვა მოქმედებას, რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნებისათვის.
7.3. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებასა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.
7.4. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა ხორციელდება ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ (მონაწილეობას კენჭისყრაში არ იღებს თავად კანდიდატი).
7.5. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას თავმჯდომარეობაზე, რის შესახებაც მან წერილობითი ფორმის უნდა აცნობოს დამფუძნებელ წევრებს.

7.6. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ჩამოერთვას ერთობლისი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
7.7. თითოეულ დამფუძნებელ წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.“

2. განხორციელდეს ცვლილება/დამატება მხარეთა მიერ დადებულ „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ“ ხელშეკრულების მე-15 მუხლის „15.1. პუნქტში“ და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელისმოწერის მომენტიდან.“

3. ზემოაღნუშნული ცვლილება/დამატება წარმოადგენს ხელშეკრულება „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ“ განუყოფელ ნაწილს, მის დანამატს და აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელშეკრულებას.

4. წინამდებარე „ ცვლილება/დამატება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებაში“ ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელისმოწერის მომენტიდან.
5. წინამდებარე ცვლილება/დამატება შედგენილია ქართულ ენაზე 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად.

ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების ხელმოწერები

ნანა ქორქაძე (პ/ნ 01024004114)

გიორგი ქორქაძე (პ/ნ 01024004051)

მიხეილ ქორქაძე (პ/ნ 01024025806)

ლუკა ქორქაძე (პ/ნ 01424095087)

ლანა ქორქაძე (პ/ნ 01024082351)

ნინო მესარკიშვილი (პ/ნ 01006010230)

დავით ბაირამაშვილი (პ/ნ 01024066547)

ალუდა ტარტარაშვილი (პ/ნ 01001032288)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181268529
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.10.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	39708007592918

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ცამეტ ოქტომბერს მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. #17-ში, ვამოწმებ, გიორგი ქორქაძის (დაბ.05.04.1949წ მისი განცხადებით რეგ. თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 22, ბინა 68, პირადი #01024004051), ნანა ქორქაძის (დაბ.24.12.1966წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი იოსებიძის ქ 17 პირადი # 01024004114) ლუკა ქორქაძის (დაბ.28.06.2000წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი, იოსებიძის ქ 17 პირადი # 01424095087) და ლანა ქორქაძის (დაბ.11.01.1998წ მისი განცხადებით მცხ. თბილისი გოთუას ქ 22 ბ. 68 პირადი# 01024082351) ხელმოწერას ხელშეკრულებაზე. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ. თითო ეგზემპლარზე რვა ხელმოწერა.
გადახდილია 16-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 2-88 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181268596
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.10.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00486509679618

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ცამეტ ოქტომბერს, მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, ალუდა ტარტარაშვილის (დაბ.31.07.1979წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი, ს. თაყაიშვილის ქ. სახლი 44, ბ№16, პირადი №01001032288) და დავით ბაირამაშვილის (დაბ.08.10.1962წ. მისი განცხადებით მცხ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №10ა, ბ№28, პირადი №01024066547) ხელმოწერას წინამდებარე ცვლილება/დამატება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა « ჯი ქეი ჯგუფი »-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებაზე. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 8-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა,

ასევე დღგ 1-44 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამეწარმეო ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181271771
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.10.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	84930265571618

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის თხუთმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუსი, ელისო შიხიაშვილი რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისი, ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, **მიხეილ ქორქაძის** (დაბ.28.09.1978წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი ჩიქოვანის ქ 9-11 კორპ. 2 ბ. 40 პირადი №01024025806) და ნინო **მესარკიშვილის** (დაბ.31.10.1981წ მისი განცხადებით მცხ. თბილისი ჯანაშიას ქ 16/18/20 პირადი№01006010230) ხელმოწერებს ცვლილებებზე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯი ქეი ჯგუფი“-ს დაფუძნების შესახებ. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ცვლილებებს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია **8.00** ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ **1-44** ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების 39-ე მუხლისა

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი

